№ 75 აპრილი 12, კვირა 1892 აპრილი 12, კვირა № 75


# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



გაზეთი „ივერია" აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

---

კნეინა **ელენე ფავლენოვისა** და **თ. ვასილ იოსების ძე ფავლენოვი** დებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ქმრისა და მეორენი მამის, **თ. იოსებ ქაიხოსროს ძის ფავლენოვის**, გარდაცვალებას. დასაფლავება იქნება 14 აპრილს სოფელს ერედვს, საკუთარს ეკკლესიაში.

---

ჩვეულებისამებრ, ამ წელიწადსაც, 10 მაისს,
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"
გამართავს
მუშტაიდის ბაღში
# ლატარია-ალეგრის
თავის ღონისძიებათა განსამძლიერებლად.

ვინც ინებებს დაეხმაროს საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირულობით, შეუძლიანთ შემოწირულობანი გამოუგზავნონ კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას—ავჭალის ქუჩა, საგინოვის სახლი, ანუ საზოგადოების კანცელარიას, რომელიც იმყოფება ბანკის ქარვასლაში. (5—4)

---

ქართული თეატრი

კვირას, 12 აპრილს,
ქართულის თეატრის არტისტებისაგან მ. მ. საფაროვის თაოსნობით წარმოდგენილი იქნება უკანასკნელად:

I

# სამშობლო

დრამა 5 მოქ., თხზ. თ. დ. გ. ერისთავისა.

II

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, აკალოვისა და ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, გუნია, გედევანოვი, შათიროვი, გამყრელიძე, კანდელაკი, სადჟაროვი, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.


---

ტფილისი, 11 აპრილი

გერმანია დროებით დაწყნარდა. საოცარის ამბებისა იქიდგან აღარა ისმის-რა. კანცლერი გრაფი კაპრივი, დაღალული და მოქანცული ორის წლის განუწყვეტელის შრომით, კარლსბადს მიდის სულის მოსაბრუნებლად. იმპერატორს ვილჰელმს უთხოვნია, აგრე შორს ნუ მიდიხარ, დარჩი აქ ახლოს სადმე და, თუ გინდა, ორს ჩემს საზაფხულო სასახლეს დაგითმობო. კაპრივიმ უარი განუცხადა თურმე, არ შემიძლიან, ავადა ვარ და უსათუოდ კარლსბადს უნდა წავიდე მოსარჩენადაო. გაზეთები ლაპარაკობენ, შეიძლება კაპრივი აღარც-კი დაბრუნდეს და კანცლერობა გრაფს ეილენბურგს უბოძოს იმპერატორმაო. არც ეილენბურგია უარზედ, იმედიცა ჰქონია, რომ კარგად წაიყვანს საქმეს, და კიდეც შესდგომია კანცლერის მოვალეობის აღსრულებას.

მეორე საყურადღებო ამბავი ისაა, რომ სამხედრო კომისიას შეუმუშავებია ახალი კანონი ჯარის მომატებისა და ჯერ ვერ გაუბედნია წარუდგინოს პარლამენტს განსახილველად; ეშინიან, უარს მეტყვის, ხარჯს არ გამოიღებს უფულობის გამოო. ეს ბევრს რასმეს მოასწავებს. ეტყობა, მთავრობამ მოიტეხინა მას შემდეგ, რაც რეიხსტაგმა უარი უთხრა, არ მოგცემ ხარჯს ახალის სამხედრო გემის გასაკეთებლადაო. ამ რამდენისამე თთვის წინად ვინ მოიფიქრებდა, თუ ასე მორბილდებოდა და დამშვიდდებოდა გერმანიის მთავრობა. ეტყობა, ძალას აღმართი მოუხნავს.

სამაგიეროდ, საფრანგეთიდგან ამაშფოთებელი ამბები მოდის. ვერ იქნა, ვერ დამშვიდდა და ვერ დაიმორჩილა რესპუბლიკის მთავრობამ გამძვინვარებული სამღვდელოება, აღჭურვილი დიდის სწავლა-ცოდნითა და მხნეობით; ვერ იქმნა, ვერ შეირიგა რესპუბლიკამ ეს ძლიერი წოდება ერისა.

ამ ცოტას ხანში მრავალგან არეულობა და შფოთი მოხდა ეკკლესიებში. მრევლი, ლოცვის მაგიერ, სკამებს ამტვრევდა დ ანარქისტების სიმღერებს ამბობდა. გამწარებული და გაბრაზებული მთავრობა მუქარას უთვლის სამღვდელოებას, დაწყნარდი, ხალხს ნუ აშფოთებ, პოლიტიკაში ნუ ერევი, თორემ ეკკლესიებს გავაუქმებთ და ჯამაგირებს მოგისპობთო. იუსტიციის მინისტრმა რიკარმა პირდაპირ განაცხადა პარლამენტში, სამღვდელონი მთავრობის მოხელენი არიან, იმის ულუფით ირჩენენ თავსა და მოვალეობაცა სძევთ ერთგულად ემსახურონ რესპუბლიკას; თუ კიდევ გაჰბედავენ და შფოთვას არ დაიშლიან, იძულებული ვიქნები სასტიკი ღონისძიებანი მივიღოო. ერთს ეპისკოპოსს უკვე შეუთვალა, ჯამაგირს შეგიკრავო. ამაზედ კასანიაკმა მიახალა პარლამენტში, როცა შენ ჯამაგირს შეუკრავ, მე მაშინ ხელის მოწერას გავმართავ და ფულს გავუგზავნი ჯამაგირ-მოკლებულს მოძღვარსაო. მაინც პარლამენტმა ხმის უმეტესობით ნდობა გამოუცხადა მთავრობას და დაადგინა, რიკარის სიტყვა აღიბეჭდოს და ქუჩებში გაიკრასო.

სანუგეშო ამბები რესპუბლიკას არც ახალშენებიდგან მოსდის. დაგომეის სულთანი რაღაზედაც გახელებულა და იმუქრება, თუ ერთი ნაბიჯი გადმოსდგით ჩემს სამფლობელოსაკენ, სადარაჯოებში დაყენებულს ჯარებს სულ მთლად ამოგიწყვეტავთო. ზღვათა მინისტრს პარლამენტმა სამი მილიონი ფრანკი მისცა და თან დაავალა, პასუხი მიეცი თავ-გასულს სულთანსაო.

ევროპის სახელმწიფოებმა ისე განაძლიერეს თავისი მრეწველობა, იმოდენა აუარებელს საქონელს ამზადებენ, რომ ადგილობრივს მოთხოვნილებას ბევრად აჭარბებს. მომეტებულს საქონელს, რასაკვირველია, გასაღება ეჭირვება და უსათუოდ ბაზარი უნდა აუჩინონ. ამისათვის ევროპიელები არც ხარჯს ერიდებიან, არც საშიშროებას, რომ მომეტებული ადგილები ჩაიგდონ ხელ'ში უცხო ქვეყნებში, სადაც მათი ნაწარმოები გასაღდება. ამას გარდა, ევროპა მჭიდროდ შეიქნა დასახლებული დ მომეტებული მკვიდრი უნდა გადასახლდეს სადმე.

აი ეს ორი მიზეზი აიძულებს ევროპის სახელმწიფოთ, გაფაციცებით სძებნონ ახალშენები და თოფითა და ხმლით დაიმორჩილონ სხვა ტომისა და ერის ხალხი. ამ გვარად, ევროპიელებმა ძმურად გაიყვეს ამერიკა და ავსტრალია, ბევრი სისხლი დაღვარეს, ბევრი ულმერთობა და უსამართლობა ჩაიდინეს განათლებულმა ევროპიელებმა, რამდენიმე წვრილი ერი სულ ძირიან-ფესვიანად ამოჟლიტეს და წუთი-სოფელს გამოასალმეს და თავისი საწადელი-კი შეისრულეს.

ბოლოს რიგი მიდგა აფრიკაზედაც. ჯერ, რასაკვირველია, ინგლისელებმა გამოძებნეს მშვენიერი ადგილები და დამკვიდრდნენ, შემდეგ ისპანელებმა და პორტუგალელებმა სულ ნაცარტუტა აადინეს ამ უბედურს ქვეყანას. ზანგებს ხოხბებივით იჭერდნენ კაკანათებით და ჰყიდდნენ ამერიკაში. დასრულდა მათი ბატონობა და საფრანგეთი წაეპოტინა აფრიკას. ამანაც კაი ლუკმა იგდო ხელში. ბოლოს გერმანელები და იტალიელები მიესივნენ „შავს ქვეყანას" და დღე დაუბნელეს.

არც „შავნი კაცნი" არიან გულხელ-დაკრეფილნი; ისინიც იბრძვიან სამშობლოსათვის და ლაჩრებივით არა ჰნებდებიან ევროპიელებს. ბუნებაც ხელს უმართავს. თუ შავი-კაცის

---

# ფელეტონი

8

წკიპურტი

აღდგომა რა არის?—როგორ დღესასწაულობენ აღდგომას.—მუცლის დღესასწაული.—უქმად დარჩენილი ლაღადისი მწერალ-პოეტებისა.—რატომ არ გილოცავთ აღდგომას.—დრამატიული საზოგადოება და მისი უცნაური ბედი.—ბაცილის ბრალი თუა.—რა დღე დაგვმართა ჭიამ... აბრეშუმისამ.—აქლემმა რწყილი ჰშობა.—მშაკისტ-არძაგანკისტების ამბავი.

ერთს ყმაწვილს ჰკითხეს თურმე:

— აღდგომა რა არისო?

და უპასუხა:

— აღდგომა ღორის გაკეთებაა, პასექის გამოცხობა და წითელის კვერცხების შეღებვაო.

ეს ბავშვის გულ-წრფელი და გულუბრყვილო პასუხი სიცილადაც არავის ეყო თურმე, მაგრამ მე რომ ჩვენს ტფილელებს ვუყურებ, სასაცილონი, ეს ბავშვი-კი არა, სწორედ ისინი ყოფილან, ვისაც სიცილი დაუწყია. მართლაც-და, აბა ოდნავ მაინც ჩაუფიქრდით ამ უცნაურს გარემოებას, მკითხველო, თუმცა-კი დიდი ჯაფა და ჭიმვა მოგინდება ჩაფიქრებისათვის, ისეა ეხლა ყველა ჩვენგანი აღდგომის სმა-ღრეობისაგან გამოფიტულ - გამორეტიანებული: მართლმორწმუნე ერი დღესასწაულობს შესანიშნავს დღესასწაულს კაცობრიობის წარმატებისას, ძლევა-მოსილობას კეთილისას ბოროტსა ზედა, „დათრგუნვას სიკვდილისას სიკვდილითა", და ამ დიდს დღესასწაულს მარტო ოდენ იმით-ღა აღნიშნავს ხოლმე, რომ

ღორსა სთლის, ქვევრსა სცლის
და კვერცხებს ჰღებავს;
ამას სჭამს, იმას სჭამს,
სულ ჭამა ჰნებავს,

თითქოს აღდგომა მხოლოდ მუცელ-ღმერთაობისა და ღორ-მუცლობის დღესასწაული იყოს და იესო ქრისტე იმიტომ მოვლენილიყოს ამ ქვეყნად, მისთვის წამებულ-ჯვარცმულიყოს და შემდეგ „ცხოვრების მოსანიჭებლად" სიკვდილი დაეთრგუნოს, რომ სარტყელს წვერი მოვუშვათ, წამ და წუთ მუცლის ღუმელს ვუწყოთ მზერა და მუცლის ლხინსა და ნადიმს შევალიოთ ჩვენი სიცოცხლეო. დარწმუნებულნი ვართ, თითონ იესო ქრისტეს რომ წარმოედგინა, თუ იმისი დღესასწაული მუცლის ზეიმით დაგვირგვინდებოდა, სიკვდილს ირჩევდა აღდგომას, რომ მიზეზი არ მიეცა ხალხისათვის, იმის სახელით ხორაგითა და ღვინო-არაყით ლოთობას მისცემოდნენ.

ერთის სიტყვით, მუცელს-კი არა, გონებას რომ დაატანოთ ძალა, გამოდის, რომ აღდგომა ადამიანის ცხოველად შექმნის დღესასწაული ყოფილა და არა ქრისტეს ურწმუნოთა და სიკვდილსა ზედა გამარჯვებისა. ის-კი ხომ აშკარაა, რომ

კაცი-ცხოველი სად გინდა,
მუცლითა გამამაცდება;
ღვინოში თავ-პირს ჩაირჩობს,
საქმესაც ბევრსა დასცდება;
მუდამ ღორ-მუცლობს, მრავალჯერ
ცუდ-მუდი სიტყვაც წასცდება.

მარად-სახსენებელმა არჩილ მეფემ ალბად კარგად იცოდა, რომ ერის უმრავლესობას ცხოვრების დევიზად რუსთაველის გადამახინჯებული ლექსი ჰქონდა: „რასაცა შესჭამ—შენია, რასც არა—დაკარგულია"-ო და რომ ადამიანი ძირ-გავარდნილი გოდორია, რომელიც სულ „ჩამაყარე"-ს იძახისო, და ამიტომაც იმეტყველა:

ვინც სძლევს ენას და მუცელსა,
დიდი ნიჭი აქვს მადლისა-ო,

და გურამიშვილმაც ამიტომ მისცა ბანი, რომ

მარხულობა და სასჯელი
გონების განსაწმენდია-ო.

როგორც ჰხედავთ, მათი მეტყველება დარჩენილა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა და ყველას დავიწყებია, რომ

დია სჯობს სრული სიკვდილი
საშუალ ცხოველობასა.

მაშასადამე, ნურას უკაცრავად, მკითხველო, თუ აღდგომას არ გილოცავ, რადგან ასეთი აღდგომა, სანატრელი-კი არა, სატანჯველი და სამგლოვიაროა; სალხენი-კი არა, საწყენი და სავალალოა; დღესასწაული-კი არა, ადამიანის ცხოველად გადაქცევაა, ჭკუა-გონების დათრგუნვაა და ღორ-მუცლობის მომნიჭებლობა!..

**

მადლობა ალლაჰს (მეშინიან, ქრისტე ვერ მიხსენებია, ვაითუ ისევ სუფრას მოუსხდეს ხალხი), მოვრჩით მუცლის ამოვსების დღესასწაულსა და ღორისა, ბატკან-კურატისა და ნუნუას არჩევანს. ქვეყნის სიკეთე და დღეგრძელობა ახლა სხვა არჩევანისთვის მიგვიწოდებს და აქაც იმდენი გულ-მტკივნეულობა დ საქმის ზრუნვა, თავის ტკივილი რომ გამოვიჩინოთ, რამდენიც მუცლისათვის გამოვიჩინეთ, ჩვენი საქმე წაღმა იბრუნებს პირს და ალჩუს დაჯდება.

დღეს, გავახსენებთ მკითხველებს, კრებაა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა. მართალია, ეს საზოგადოება ინგლისის ორიგინალთა კლუბს უფრო ჰგავს, ვიდრე დრამატიულს საზოგადოებას, დ უცნაური საზოგადოებაც არის, ღვთის წინაშე, მის ბადალსა და სწორს ქვეყნის ზურგზედ ვერსად მოჰხელავთ, მაგრამ მაინც სისხლია ჩვენთა სისხლთაგან, ხორცი ჩვენთა ხორცთაგან, ავია თუ კარგია, მაინც ჩვენი დარდია და თავიც უნდა შევიტკიოთ, უნდა ვიზრუნოთ კიდეც.

რა სჭირს მერე ამ საზოგადოებასაო? იკითხავთ. რაღა რა: წარმოიდგინეთ, ერთად-ერთი საზოგადოებაა, ვიმეორებთ, მთელის ქვეყნის ზურგ-

მახვილი ვერას აკლებს თეთრს კაცს, ციებ-ცხელება უღებს ხშირად ბოლოს.

მაგრამ ევროპიელს ვერც მახვილი და ვერც ციებ-ცხელება ვერ შეარყევს და ვერ შეაჩერებს ჵ დღეს იქნება, თუ ხვალ, თავისას გაიტანს.

პირველ ხანად პარლამენტმა სამი მილიონი ფრანკი მისცა ზღვათა მინისტრს, ჭკუა ასწავლე დაგომეის თავ-გასულს ბატონსაო. თუ ეგ საკმარისი არ იქნება, ხვალ ექვს მილიონს ფრანკს მისცემენ, მაზეგ უფრო მომეტებულს, და აბა სად შეუძლიანთ საცოდავ ტიტველა-კანიან დაგომელებს გაემკლავენ ფრანგებს, მათს ფრანკებს და ლებელის საშინელს თოფებსა.

ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში იყო მოხსენებული, რომ ჩრდილო-ამერიკაში ზანგებს (წინანდელნი მკვიდრნი აფრიკისა) ექვსასი მილიონი მანეთი სიმდიდრე აქვთ, 842 ვექილი ჰყავთ, 792 ექიმი, 1,420 შეძლებული ვაჭარი და 995 ნასწავლი კაცი, მეცნიერი, მქადაგებელი და პროფესსორი. აი ესენი რომ დაბრუნდნენ თავიანთ ძველს სამშობლოში და თან წამოიღონ თავიანთი მილიონები, მაშინ შეიძლება აგრე ადვილად აღარ გასჭრას ლებელის თოფმა.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორი თავადი შერვაშიძე ქალაქს კავკავში გაემგზავრა.

*** ორშაბათს, 13 აპრილს, ქალაქის საბჭო, სხვათა შორის, შემდეგს საქმეებს განიხილავს: 1) ხარჯთ აღრიცხვა იმ ფულისა, რომელიც დასჭირდება სხვა-და-სხვა საშუალებათა მიღებას ტფილისში გადამდებ სენის მოსასპობად; 2) თხოვნა მელიქ-აივაზიანცისა, რომ ვერის ხიდი იჯარით მომეცითო; 3) ქალაქის გამგეობის მოხსენება დიდუბესა და ნავთლუღში ცხენის რკინის გზის გაყვანის შესახებ. კრება საღამოს $7^1/_2$ საათზედ დაიწყება.

*** ტფილისში ხუნაგი თითქოს თანდათან ფეხს იდგამს. ამ ჟამად მარტო ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ცამეტი ხუნაგიანი ავადმყოფი წევს, რომელთ შორის ორი უკვე გარდაიცვალა გუშინ. გუშინ-წინ ამიერ-კავკასიის უფროსი ექიმი ბ-ნი გლავაცკი იყო მიხეილის სამკურნალოში და დაათვალიერა ხუნაგიანი ავადმყოფები. განზრახვა აქვთ, ღონე რამ იღონონ და უფრო დიდი ადგილი დაუთმონ ავადმყოფებს მიხეილის სამკურნალოში.

*** 6 აპრილს ნავთლუღში დარაჯებმა შენიშნეს თურმე, რომ მტკვრის მარცხენა ნაპირიდგან მარჯვენა ნაპირზედ გადადიოდა ვიღაც უცნობი კაცი, რომელსაც ზურგზედ ბერდანკის თოფი ჰქონდა გადაკიდებული და ცხენი სადავეთი ეჭირა. რაღაც ეჭვი აიღეს, ბაშპორთი მოსთხოვეს, მაგრამ იმ უცნობმა, გარეგნობით თათარმა, თოფი ესროლა ერთს დარაჯთაგანს, მხარში დასჭრა და თითონ-კი მაშინვე ისე გაიქცა, რომ მისი დაჭერა ვეღარ მოახერხეს. დამნაშავის აღმოსაჩენად ყოველივე ღონისძიებაა ნახმარი.

*** როგორც ვუწყით, ტფილისის პოლიცმეისტერის მიერ გამართული თავშესაფარი ამ აპრილის დამლევს უნდა დაუქმდეს. ამასობაში რაც ადრე დააუქმებენ ამ თავშესაფარს, მით უკეთესია, რადგან დიდ-ძალი ხალხია გადამდების ავადმყოფობით ავად და თავშესაფარში მყოფნი დიდად უსუფთაოდ არიან. წარმოიდგინეთ, ამას წინად ერთი გადმოსახლებულთაგანი შავის სახადით გამხდარიყო ავად ამ თავშესაფარში და სამკურნალოში-კი ორის კვირის შემდეგ მიეყვანათ, ისიც ისე, რომ ორის კვირის განმავლობაში ექიმის თვალს არ ენახა და წამალი არ მიჰკარებოდა.

*** ყაჩაღებმა ტფილისის მაზრაში კიდევ იჩინეს თავი. 6 აპრილს სოფ. ყარა-მოლლალოსთან ორი შეიარაღებული თათარი დახვედრიან ალალყული-ოღლისა და ოჯი-მურა-ოღლის, დაუჭერიათ, შეუყვანიათ იქვე დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ტყეში, ყველასათვის ფეხები შეუკრავთ და დაუწყიათ გაძარცვა. ერთისათვის 17 მანეთი წაურთმევიათ კიდეც, მაგრამ ამ დროს ტყის დარაჯს ნიკო გუბატაშვილს სხვა თავის ამხანაგებითურთ გამოუვლია, ავაზაკებს დაუნახავთ და თოფის სროლით უკან დაუხევიათ. თოფის სროლაში ერთი ტყის დარაჯთაგანი ზურგში მძიმედ დაუჭრიათ.

*** აპრილის პირველ რიცხვებში ჩხუბი მოსვლიათ სოფ. უჯარმასთან ტფილის-თელავის გზატკეცილზედ მომუშავეებს თიონეთის მაზრის სოფ. იკვლივის მცხოვრებელს ჩიტო დიდებაშვილსა და სოფ. არტაანის მცხოვრებელს გიორგი იანვარაშვილს. იანვარაშვილს წამოუღლია ხელი რკინის ნიჩაბისათვის და დიდებაშვილისათვის თავში უთხლეშნია. თავ-გახეთქილი დიდებაშვილი 2 აპრილს გარდაიცვალა. იანვარაშვილი დაპატიმრებულია.

*** ბ-ნ სვიმონ გარსევანის ძეს ჰყოიძეს დაუბეჭდვინებია ათასი ცალი დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომზადდეს წამალი ვენახის სასხურებლად მილდიუსაგან გადარჩენისათვის და ეს წამალი რამდენი და როგორ უნდა ეპკუროს ვენახს და რა ვადაზედ. ეს დარიგება მუქთად დაურიგდება ხალხს. მისი რამდენიმე ცალი ჩვენც მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად. მოგვყავს ეს დარიგება რედაქციის მცირეოდენის შენიშვნებითურთ:

ვენახის ფოთლის მოსარწყავი წამალი.

ერთი ქცევა ვენახისათვის რვა გირვანქა შაბიამანი და ოთხი გირვანქა ქვა-კირი შეაზავეთ, როგორც ამის ქვემოდ სწერია:

რვა გირვანქა შაბიამანი ჩაყარეთ საღამოს საწნახელში *) და ამ რვა გირვანქა შაბიამანს დაასხით ათი ჩაფი (ოცი ბათმანი) წყალი. დილამდის ეს შაბიამანი ამ წყალში დადნება, დილაზედ ცალკე ოთხი გირვანქა ქვა-კირი ჩაყარეთ ბოჭკაში, ანუ დაყარეთ გობზედ; ამ ოთხს გირვანქა ქვა-კირს დაასხით ნახევარ ბათმანი წყალი. როდესაც ქვა-კირი წყალში დაიშალოს, ძალიან აურიეთ ჯოხით; როდესაც კარგად აურიოთ, აიღეთ კირ-წყალი და ჩაასხით შაბიამანის წყალში; კირ-წყალი რომ ჩაურიოთ შაბიამანის წყალში, კირ-წყალი და შამიამანი ძალიან აურიეთ ერთმანეთში ჯოხით; კირ-წყალი და შაბიამანი კარგად რომ აურიოთ ერთმანეთში **), ჩაასხით ჩაფში, ჩაფით ჩაიტანეთ ვენახში, ჩაფიდგან ჩაასხით სარწყავში და სარწყავით მოასხურეთ ვენახის ფოთლები. როდესაც საწნახელიდგან ჩაფში ასხამდეთ, ჩაფში ჩასხმამდე ყოველთვის ძალიან აურიეთ, თორემ წამალი ძირში დალექილი დარჩება; ასე შეზავებული რვა გირვანქა შაბიამანი და ოთხი გირვანქა ქვა-კირი ეყოფა ერთს ქცევა ვენახს.

მორწყვის დროს არც ქარი იყოს და არც წვიმა, ყუდრო ამინდი უნდა იყოს; მორწყვის დროს თუ რომ წვიმამ მოგასწროთ და წამალი ჩამორეცხოს, მეორედ უნდა მორწყოთ.

ვენახი უნდა მორწყოთ წელიწადში ორჯელ, მაისის პირველს კვირაში და ივანობის-თვის თხუთმეტს. (ზოგჯერ მესამე მორწყვაც უნდება ხოლმე).

ორი ქცევა ვენახისთვის:

ორი ქცევა ვენახისათვის თექვსმეტი გირვანქა შაბიამანი ჩაყარეთ საღამოს საწნახელში და დაასხით ოცი ჩაფი (ორმოცი ბათმანი) წყალი. დილაზედ ცალკე რვა გირვანქა ქვა-კირი ჩაყარეთ ბოჭკაში და დაასხით ერთი ბათმანი წყალი და შეაზავეთ ისე, როგორც პირველში სწერია; ასე შეზავებული თექვსმეტი გირვანქა შაბიამანი და რვა გირვანქა ქვა-კირი ეყოფა ორს ქცევა ვენახს.

სამი ქცევისათვის:

სამი ქცევა ვენახისათვის ოც-და-ოთხი გირვანქა შაბიამანი ჩაყარეთ საღამოს საწნახელში და დაასხით ოც-და-ათი ჩაფი (სამოცი ბათმანი) წყალი, დილაზედ ცალკე თორმეტი გირვანქა ქვა-კირი ჩაყარეთ ბოჭკაში და დაასხით ორი ბათმანი წყალი და შეაზავეთ ისე, როგორც პირველში სწერია. ასე შეზავებული ოც-და-ოთხი გირვანქა შაბიამანი და თორმეტი გირვანქა ქვა-კირი სამ ქცევა ვენახს ეყოფა.

ოთხი ქცევისათვის:

ოთხი ქცევა ვენახისათვის ოც-და-თორმეტი გირვანქა შაბიამანი ჩაყარეთ საღამოს საწნახელში და დაასხით ორმოცი ჩაფი (ოთხმოცი ბათმანი) წყალი, დილაზე ცალკე თექვსმეტი გირვანქა ქვა-კირი ჩაყარეთ ბოჭკაში და დაასხით სამი ბათმანი წყალი და შეაზავეთ ისე, როგორც პირველში სწერია. ასე შეზავებული ოც-და-თორმეტი გირვანქა შაბიამანი და თექვსმეტი გირვანქა ქვა-კირი ეყოფა ოთხს ქცევა ვენახს.

ხუთი ქცევისათვის:

ხუთი ქცევა ვენახისათვის ორმოცი გირვანქა შაბიამანი ჩაყარეთ საღამოს საწნახელში და დაასხით ორმოც-და-ათი ჩაფი (ასი ბათმანი) წყალი, ოცი გირვანქა ქვა-კირი, დილაზედ ცალკე ჩაყარეთ ბოჭკაში და დაასხით ოთხი ბათმანი წყალი და შეაზავეთ ისე, როგორც პირველში სწერია. ასე შეზავებული ორმოცი გირვანქა შაბიამანი და ოცი გირვანქა ქვა-კირი ხუთს ქცევა ვენახს ეყოფა.

ექვსი ქცევისათვის:

ექვსი ქცევა ვენახისათვის ორმოც-და-რვა გირვანქა შაბიამანი ჩაყარეთ საღამოს საწნახელში და დაასხით სამოცი ჩაფი (ას-ოცი ბათმანი) წყალი, დილაზედ ცალკე ოც-და-ოთხი გირვანქა ქვა-კირი ჩაყარეთ ბოჭკაში და დაასხით ხუთი ბათმანი წყალი და შეაზავეთ ისე, როგორც პირველში სწერია. ასე შეზავებული ორმოც-და-რვა გირვანქა შაბიამანი და ოც-და-ოთხი გირვანქა ქვა-კირი ეყოფა ექვს ქცევა ვენახს.

ეს დარიგება მსურველთ ეძლევა უფასოთ: ქ. ქუთაისში აზნაურ ივანე ტარიელის ძის ხაინდრავას ბაკა-

*) კარგი იქნება, რომ, საწნახელში-კი არა, სხვა განსაკუთრებულ ჭურჭელში შეზავდეს სარწყავი წამალი; შესაძლოა, რომ გაწამლიანებულმა საწნახელმა ავნოს ტკბილს ყურძნის დაწურვის დროს. რედ.

**) არევის შემდეგ წამალი ორი დღე შეინახეთ და შემდეგ მორწყეთ. რედ.

---

ზედ, რომელსაც ათი მმართველობის წევრი ჰყავს და საერთოდ-კი, სულ თორმეტი, თუ თხუთმეტი წევრი. რაც უნდა სთქვათ, ამ თორმეტის კაცის კრებული სულ არ შეადგენს საზოგადოებას. დრამატიული საზოგადოება, თუ არა ვცდებით, თორმეტცამეტი წელიწადია დაარსებულია და აქამდე მისი ბედი, ობლის კვერსავით, ვერა და ვერ გამოცხვა, უკან თუ, თორემ წარსამატებლადა და წინ წასასვლელად ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ამდენს ხანში კერძო ოჯახიცკი ერთი-ორად მოიმატებდა წევრთ, მაგრამ ამ საზოგადოებას საკეთილოდ ნირიც არ უცვლია.

საკვირველი უფრო ის არის, რომ ამ საზოგადოებას საუცხოო წესდებაცა აქვს, აზრითაც ფრიად საკეთილო აზრისა და საგნის მიღწევას ეტანება, მაგრამ მაინც სულ დაღმართ ჰკორავს მისი ბედის გორგალი, თითქოს მახინჯი შვილი იყოსო, ყველას მისთვის მოუყრუებია ყური და მისთვის აურიდებია თვალი. დასარწმუნებლად, თუნდა ჩვენს ახალს წიგნების გამომცემელს ამხანაგობას შეუდარეთ. ამ ამხანაგობამ წლისა და წელიწად ნახევრის განმავლობაში სამასამდე ამხანაგი მოიპოვა და მსურველნი კიდევ ბევრნი არიან ხუთი თუმანი გაიღონ და მიუამხანაგდნენ, მხარში ამოუდგნენ, მაგრამ დრამატიულს საზოგადოებას-კი არავინ ეკარება, თუმცა მასთან მიკარება მუცლისათვის მოცლილს ხალხს უფრო ნაკლებს მსხვერპლსა სთხოვს—სულ ხუთი მანეთი ჰღირს საწევრო შესატანი.

აშკარაა, ამ საზოგადოების სხეულში სადღაც ბაქტერიას დაუბუდნია და ისა ჰხრავს და აჭიავებს, ის უღებს ბოლოს. ეხლა ხომ მაინც სულ ბაქტერიებისა, მიკროორგანიზმებისა, კოკებისა და ლიტრ... უკაცრავად, ბაცილების აღმოჩენაზეა ეს ამოდენა ხალხი შეშლილი და საკვირველია, აქამდე რატომ თავს არავინ იდებს და არ გამოიკვლევს, რა ბაცილა მიჰსევია ჩვენის მელპომენის ჭირისუფალხანას?!

**

ტფილისის მუშტაიდის ბაღს, ბაცილა-კი არა, მთელი ჭია გასჩენია და დღე-დღე უფრო და უფრო ბოლო ეღება. უპადრუკს მდგომარეობაშია ეს ბაღი: ამ უცნაურს ჭიას იქაურობა სულ ერთიანად, ძირიან-ფესვიან ამოუკვდია და, ხეხილების მაგიერ, უშველებელი პალატები ამართულა, ანუ, სხვაფრივ რომ ვსთქვათ, თუთის ხეებს მთელი შენობები დაუსხამს. საითაც მიიხედო, შენობა და სახლია და ხევნარ-ბაღნარის წრე თანდათან უფრო ვიწროვდება, მცირდება და საშინელის ფარგალით ილევა.

იმისდა მიუხედავად, რომ მუშტაიდის ბაღში ბაღისა მტვერი-ღაა დარჩენილი, რომელიც უხვად უვსებს გულს და ყელს უხრაკავს მოსეირნეთ, მაინც ყოველს კვირა და უქმე დღეს დიდძალი მოსეირნე ხალხი იყრის ამ ბაღში თავს და ჯარასავით სეირნობით მუსიკის გარშემო დასტრიალებენ. ან რა ჰქმნან, სად წავიდნენ, მტერი არ უზამდა ამოდენა ქალაქს იმ საქმეს, რაც აბრეშუმის ჭიამ დააყენა. უბაღობის სიმწვავეს, ჯერ კიდევ სად არის, მაშინ იგრძნობს ტფილისი, როდესაც თიბათვე-მკათათვის სიცხე დააჭერს ქვეყანას და სულ-შეგუბებული შეძლებული ხალხი აგარაკებისაკენ გაიხიზნება. ძნელად-ღა საფიქრებელია, რა ეშველება მაშინ ამოდენა ხალხს, უბაღოდ, უსასეირნო და უსულის მოსაბრუნებელ ადგილოდ დარჩენილს.

დალოცვილებს, თელეთისა და სოლოლაკის მთაზედ ხეხილების მოშენებას, ის არ ერჩივნათ, რომ აბრეშუმის სადგურები აეშენებინათ და მუშტაიდი-კი ხელ-უხლებლად ისევ თავისს ალაგას დაეტოვებინათ. ან თუ არა-და, ჯერ სხვა ბაღს, სხვა სასეირნო რასმე ალაგს ამოუჩენდნენ ამდენს ხალხს და მერე ანაცვალებდნენ ორსავე ბაღს—მუშტაიდისა და ალექსანდრესას აბრეშუმის მოშენებასა და სურათების გამოსაფენს შენობას... მახლას, ჩვენში ყველაფერი წაღმა-უკუღმად უნდა იყოს!..

**

ყველა-ყველა-და, არწრუნს-იოანესიანს-კი დიდი უკუღმართობა დაემართათ. როგორც ეხსომებათ მკითხველებს, ამ სომხთა ორმა დედაბოძმა ერთმანეთს უკუნურობის ატესტატები დაურიგეს კათოლიკოსის არჩევანზედ დამსწრე დელეგატის ამორჩევის დროს. მთელი სომხობა ორ ნაწილად დაიყო, ერთმა ნაწილმა „არძაგანკის“ ხევა-ფხრეწა დაიწყო, მეორემ—„მშაკისა“ და ორივენი ერთმანეთზედ ისე გაალმასებულ-გაგულისებულები იყვნენ, რომ, უმი ხორცი რომ არა სძულებოდათ, ურთიერთს ცოცხლივ დასჭამდნენ. ბოლოს ამორჩეულ იქმნა ა. იოანესიანი დელეგატად და არძაგანკისტების სიხარულსა და ცას-დაწევას საზღვარი აღარა ჰქონდა.

ამ ტრაგი-კომედიის დასასრული, როგორც ეხლა აღმოჩნდა, ჯერ შორსა ყოფილა. აქლემს მხოლოდ რწყილი უშობნია და არა კოზაკი, როგორც ბევრი მოელოდდა. აბგარ იოანესიანის არჩევანი ეჩმიაძინს გაუუქმებია, კრება დელეგატის არჩევანისა უკანონოდ უცვნია და ხელ-ახლად კრება 19 აპრილისათვის არის დანიშნული.

ჯერ ეხლავე ძნელად სათქმელია, არძაგანკისტები გაიმარჯვებენ, თუ მშაკისტები, მხოლოდ ის-კი აშკარაა, რომ წინანდელზედ, თუ უკეთესს არა, უარესს ატესტატსა და მოწმობას არ დაურიგებენ ერთმანეთს...

ჩიორა

ლეინის მაღაზიაში და შორაპნის მაზრაში, მეორე გილდის ვაჭართან ნარიმან გოცაძესთან.

ფასი არავინ გადიხადოთ,

სიმონ გარსევანის ძე ჭყოიძე

⁂ ახალ-სენაკი: ხობის წყალზედ ხიდი იყო, მაგრამ ეს ხიდი დიდი ხანია, რაც დაინგრა. ხიდის მაგიერ გამართულია ბორანი, მაგრამ ბორანს ხალხი ერიდება და ფულის გადახდა ეზარება მებორნეს სასარგებლოდ. ამ ჟამად-კი წყალი საკმაოდ ადიდებულია და სწორედ ამ წყალდიდობას არა ერთი და ორი უბედურება მოხდება ხოლმე. წელსაც, ამ აპრილის დამდეგს, ერთს მეეტლეს გადაუბრუნდა ეტლი შიგ შუა წყალში და ეტლიც დაიღუპა და ცხენებიც. ძლივს თვით მეეტლე გადაარჩინეს და ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს წყლიდგან.

⁂ ქარელი (გორის მაზრა): აღდგომა დღეს აქაურს ეკკლესიაში იგალობეს სასულიერო სემინარიის შეგირდებმა კარბელაშვილის კილოს გალობა; გალობა რიგიანად მოუვიდათ. თავადნი და გლეხნი დიდნი მადლობელნი დარჩნენ და დიდადაც ისიამოვნეს ამ გალობით.

⁂ სოფ. ულეთი (გორის მაზრა): მარტის 18-ს აქ ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. ცივს წყაროზედ, მშვენიერ კაკლების ძირში, შეყრილიყვნენ ოსის ბიჭები და დამბაჩის სროლით ერთობოდნენ. ამ დროს მიუახლოვდება 14 წლის იმერლის ბიჭი, რომანოზ გრიგალაშვილი, მოხვდება უცაბედად ტყვია და იქვე გაათავებს. ბრალი დასდეს ამ საქმეში შავლეგა ჩიბირაშვილს და ნიკოლოოზ ჯიოშვილს. ადგილობრივმა მამასახლისმა შეაყენა განაჩენი და გადასცა ბოქაულს. განსვენებული გრიგალაშვილი დღესაც ისევ დაუმარხავია. მოელიან ბოქაულსა და ექიმს, მაგრამ არსად არა სჩანან. ამ ამბავმა ლამის ოსებსა და იმერლებს შუა განხეთქილება ჩამოაგდოს. სხვა არა იყოს-რა, დარაჯობა გაუძნელდათ იმ მკვდრისა მარტო სულ იმერლებს. ჯერ 18 მარტიდგან მცხედარი დაუძრავია.

⁂ ყვირილა: 10 აპრილს კავკავის ოლქის მცხოვრები, ქიათურის რკინის გზის ერთი იჯარადარი - ოსი, ბიმბულათ ცალაგოვი, მიმავალს მატარებელზედ უნდა შემხტარიყო, მაგრამ ფეხი დაუსხლტა, გადმოვარდა და მარცხენა მკლავი გადაემტვრა.

⁂ ქართლი: დადნა თოვლი მთაში და კალაპოტიდგან წყლებმა დაიწყეს გადადენ-გადმოდენა. დიდსა და პატარა ლიახვს არე-მარე თან მიაქვს. ცხინვალსა და გორს შუა დილიჯნები პირდაპირ ველარ დადიან. გაღმა-გამოღმა პატარა ლიახვზედ ხალხი დიდის წვალებით გაჰყავთ და გამოჰყავთ ურმებით. პატარა ლიახვმა ერთი ზემო-აჩამეთელი დიაკვანი იმსხვერპლა. საბრალო ცხენით შესულიყო თუ არა შუა წყალში, წაექცია ცხენი წყალს. ცხენი გამოვიდა და მხედარი-კი მედილიჯნემ გამოიტანა თავ-პირ დაჩეჩქვილი და დამრჩვალი. სამი კაციც კიდევ სხვა დაურჩვია პატარა ლიახვს. ყოველ წლიწადს აუცილებელია, რომ ამ წყალდიდობამ რამდენიმე კაცი არ იმსხვერპლოს ხოლმე, მაგრამ ვერ იქნა, ჯერ კიდევ აქამდე ვერაფერი ვერ მოაგვარეს და ერთის ხიდის გაკეთება ვერ შეიძლო ქართლის ამდენმა მცხოვრებმა. არც ხადისთავის გვერდზედ ჩამომდინარე ტანაა ნაკლებად ადიდებული. რკინის გზის ლიანდაგზედ ზედ გადადის და მატარებელს გავლის დროს შუა თვლებამდე სწვდება წყალი.

⁂ გორი: აგერ თითქმის ერთი კვირაა, რაც გორში მოჰქრის ძლიერი ზენა ქარი და თან მოაქვს ხან თოვლი და ხან წვიმა.. ამბობენ: ეს ავდარი მოსავალს არაფერს ვნებას არ მისცემსო, მაგრამ არა გვგონია-კი, რომ ბოსტნეულობა და უკვე ყვავილ-გაშლილი ნუში, ატამი და ალუჩა დაუზარალებელი გადურჩეს ამ ცივს ქარსა და თოვლს.

⁂ გაზეთს „Кавказъ“-ს შეუტყვია, ვითომ ეჩმიაძინის სინოდს ტფილისის სომეხთა ეპარქიის 8 მარტს მომხდარი დელეგატის არჩევანები ოთხის ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ორისა უკანონოდ უცვნია. ხელ-მეორედ დელეგატის არჩევანები დანიშნულია 19 აპრილს ეპისკოპოსის აგვანიანის თავმჯდომარეობით, რომელიც ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა.

⁂ გაზეთს „Нов. Обоз.“-ეს შეუტყვია, რომ ხარჯთ აკრების ინსპექტორებად დანიშნულნი არიან: ტფილისისა—ი. მ. ყორღანოვი, ტფილის-ბორჩალოს მაზრისა—ს. ი. ტერ-ღუკასოვი, სიღნაღისა, თელავისა და თიონეთისა—ნ. ი. შადინოვი, ქუთაისის ქალაქისა და მაზრისა—არუთინოვი, ერევნის ქალაქისა და მაზრისა—კამსარაკანი და შორაპნისა, ლეჩხუმისა და რაჭის ინსპექტორად—დემიანოვიჩი.

⁂ 10 აპრილს დარია კამაროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 9 ამ თვისას სიღნაღის მცხოვრებელმა ივანე ნონიაშვილმა კამოდიდგან 45 მანეთი, ექვსი ჩაისა და ექვსი სტოლის ვერცხლის კოვზი მომპარა და სიღნაღშივე წავიდაო. ეს ამბავი შეატყობინეს სიღნაღის მაზრის უფროსს.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

თელავის სასულიერო სასწავლებლის კარის ეკკლესიის მღვდელი და ამავე სასწავლებლის მოსამზადებელ კლასის მასწავლებელი, იოანნე ნარეკლიშვილი, სანგრძლივ გულ-მოდგინე და სასარგებლო სამსახურისათვის, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის მიერ, ამა 1892 წლის მარტის 19-სა დღეს, დაჯილდოებულ იქმნა ნაბედრენიკით.

მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის ამა 1892 წლის 15 მარტის განკარგულებისამებრ, თელავის მე-III განყოფილების ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებელი, წინანდალის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი სიმონ რცხილაძე დამტკიცებულ იქმნა ხსენებულ განყოფილების ბლაღოჩინად.

გორის ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის შობის ეკკლესიის მღვდელი თომა ხახანაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, განთავისუფლებულ იქმნა ბლაღოჩინის თანამდებობისაგან; გორის მაზრის საბლაღოჩინოს პირველ განყოფილების ბლაღოჩინის თანამდებობაზედ გადაყვანილ იქმნა იმავე მაზრის მესამე განყოფილების ბლაღოჩინი, ქ. გორის ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიის მღვდელი იოელ გამრეკელიშვილი, ხოლო ამის მაგიერ, გორის მაზრის მე-III განყოფილების ბლაღოჩინის ადგილას, გადაყვანილ იქმნა გორის მაზრის მე-IX განყოფილების ბლაღოჩინი, მღვდელი სოფ. ცხინვალისა მანასე კაპანაძე; ამ უკანასკნელის მაგიერ-კი დაინიშნა გორის მაზრის სოფ. ორტევისის სამრევლოს მღვდელი იოანნე კაპანაძე («სასულ. მოამბე»).

## ნაკვესი

ერთმა თავადიშვილმა დაუძახა ნაცნობს გლეხს:

— დავით, დავითო!

— ჰააა!.. უპასუხა გლეხმა.

— შე ასეთ-ისეთო, „ბატონო“ არ გეკადრებაო?

— დიახაც მეკადრება, მაგრამ რა ვქნა, რომ აგრე არ მეძახიო!

## რუსეთი

გაზეთს „С.-Петерб. Вѣдом.“-ს შეუტყვია, რომ ამ დღეებში სახელმწიფოს საბჭო განიხილავს საგანგებო კომისიის პროექტს შესახებ სხვა-და-სხვა ღონისძიებათა მიღებისა რუსეთის მეურნეობის გასაკარგებლად. კომისიის აზრით, შემდეგი ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული.

1) დაწესებულ უნდა იქმნას საურთიერთო კრედიტი ტყის მფლობელთათვის.

2) მიღებულ უნდა იქმნას ღონისძიებანი კარგის ჯიშის საქონლის მოშენებისათვის.

3) შემოღებულ უნდა იქმნას სახელმწიფოს მიერ დაზღვევა ნათესობისა და საქონლისა.

4) სახელმწიფომ საკუთარს მიწებზედ უნდა დაასახლოს იმ სოფლების მცხოვრებნი, სადაც სახნავ-სათესი ადგილები რიგიანად არ არის განაწილებული.

5) ხელი შეეწყოს გლეხთა და მცირე მიწის მფლობელ მემამულეთა მეურნეობის გაძლიერებას.

6) შეწეობა მიეცეს იმ დიდის მამულების პატრონთ, ვინც მოისურვებს სხვა-და-სხვა მაშინებით აწარმოოს მეურნეობა.

7) მიღებულ უნდა იქმნას ყოველ გვარი საშუალება საგანგებო წარმოებისა და ყოველ გვარ მცენარეთა გაუმჯობესობისათვის.

8) ხელი შეეწყოს ნოყიერ ბალახის თესვასა და საქონლის გამრავლებას.

9) რაც შეიძლება, მალე შეიცვალოს ეხლანდელი წეს-წყობილება ხარჯთ აკრეფისა.

10) ხელი შეეწყოს სამეურნეო ამხანაგობათა დაარსებას, და

11) ყოველის მხრივ მოემართოს ხელი სამეურნეო ნაწარმოების საზღვარ-გარედ გატანას.

## უცხოეთი

საფრანგეთი. მინისტრმა სახელმწიფო საბჭოსა სთხოვა, მანდის ეპისკოპოსი დასაჯეთ იმ წერილის გულისათვის, რომელიც მან სამღვდელოებას მისწერაო. მანდის ეპისკოპოსი სამართალში იქნება მიცემული. აგრეთვე სამართალში იქნებიან მიცემულნი სამღვდელოების სხვა წევრნიც, რომლებიც გაჰბედავენ პოლიტიკაში გარევას. მანდის ეპისკოპოსი, რომელიც რამდენსამე დღეს პარიჟში იმყოფებოდა, ეხლა თავისს ეპარქიაში დაბრუნდა. კლერიკალებს უნდოდათ, რკინის გზის სადგურზედ მანიფესტაცია მოეხდინათ, მაგრამ 250 კაცზედ მეტი არ მოგროვდა, ისიც უმეტესი ნაწილი სამღვდელოება და ქალები იყვნენ. პაპის მოლაპარაკება აქვს საფრანგეთის სამღვდელოებასთან და სთხოვს, პოლიტიკურს საქმეებში ნუ გაერევითო. ზოგიერთმა ეპისკოპოსებმა უკანვე დაიბრუნეს თავ-თავიანთი წერილი, რომლითაც რესპუბლიკასა ჰკიცხავდნენ.

— საფრანგეთის მცხოვრებთა უკანასკნელს აღწერიდგანა სჩანს, რომ 1886 წლიდგან 1891 წლამდე მთელის საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვს 208,590 კაცი მოემატა თურმე, ე. ი. მხოლოდ $^1/_2\,^0/_0$. მარტო პარიჟსა და იმის ახლო-მახლო ქალაქებში 5 წლის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვს 250 ათასამდე კაცი მოჰმატებია. საფრანგეთის ზოგიერთს პატარა ქალაქში-კი მცხოვრებთა რიცხვს მომატების მაგიერ დააკლდა თურმე კიდეც. საფრანგეთში სულ 87 დეპარტამენტია და 59 დეპარტამენტში ამ უკანასკნელს დროს მცხოვრებთა რიცხვს თანდათან აკლდება. ზემო ალპების დეპარტამენტს, მაგალითებრ, უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში $6^1/_2\,^0/_0$ მოაკლდათ მცხოვრებთა რიცხვსა.

— პალატამ რავაშოლის საქმე განიხილა და გადასწყვიტა, სენის სასამართლოს გადასცეს განსამართლებლად.

იტალია. გაზეთ „Italie“-ს სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკოტერამ პრეფექტებს ინსტრუქციები დაურიგა 1 მაისის შესახებ. ამ ინსტრუქციებით 1 მაისს აკრძალული იქნება დემონსტრაციები და ყოველ გვარი ყრილობა. ნება დართულია მხოლოდ ისეთი კრებები, რომელზედაც დასწრება უსათუოდ ბილეთებით იქნება, ისიც იმ პირობით, რომ ამ კრებებზედ ჟურნალ-გაზეთის წარმომადგენელნი არ დაესწრენ. მინისტრი სწერს პრეფექტებს, რომ თუ ვინიცობაა სოციალისტებმა თავისი არ დაიშალეს და დემონსტრაციები გამართეს, შეგიძლიანთ ძალა იხმაროთ დემონსტრაციების დასაშლელადაო.

## წვრილი ამბავი

ევროპის ცხოვრებას რომ დააკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ მანდილოსანნი თანდათან იფართოებენ საზღვარს თავისის მოქმედებისასა და მოღვაწეობისას და სხვა-და-სხვა ასპარეზზედ მამაცად უმკლავდებიან მამაკაცებს.

მაგალითად, ამას წინად პარიჟში სასამართლოში, როდესაც ერთის კაცის მკვლელის საქმეს არჩევდნენ, ქ-ნი სევერინი მივიდა თურმე სასამართლოს მატიანეს შესადგენად. მოსამართლენი დიდად გაოცებულან, როდესაც ქალი უნახავთ რეპორტერთა შორის.

ქალები თანდათან უფრო და უფრო ხელს ატანენ ჟურნალისტიკას. ეს გარემოება ახალი ამბავი აღარ არის ინგლისისა და ამერიკისათვის და იქ გაზეთ-ჟურნალის თანამშრომელთა შორის ქალიც ბევრი ითვლება. საფრანგეთში ჟურნალისტ-ქალთა შორის უფრო ცნობილნი არიან: ქ-ნი ჟულიეტა ადანი, რომელიც საპოლიტიკო წერილებსა სწერს, და ზემოხსენებული ქ-ნი სევერინი, რეპორტერი.

ქ-ნს ადანს დაწერილი აქვს თხზულებანი ისტორიისა, ესტეტიკისა და სარწმუნოების შესახებ და აგრეთვე დიდი საფილოსოფოსო ტრაქტატი: „Les idées antipro-odhoniennes“-ი. დასასრულ, იგივეა დამაარსებელი და რედაქტორი ჟურნალის „Nouvelle Revue“-სი.

ქ-ნი ადანი დიდი მეგობარი იყო გამბეტასი, მაგრამ ბოლოს-კი ერთმანეთს შემოსწყრნენ და გაუგულგრილდნენ, რადგან ერთ გვარის აზრისა და შეხედულობისანი არ იყვნენ ბისმარკისა და რუსეთის შესახებ. ქ-ნი ადანი სულ იმას გაიძახოდა, რომ საფრანგეთი რუსეთს უნდა ჰმეგობრობდესო, და გამბეტა-კი სწორედ ამას ვერ შეჰრიგებოდა. ამიტომ თქმა აღარ უნდა, რომ ქ-ნი ადანი ცას იყო დაწეული, როდესაც კრონშტატში რუსნი და ფრანგნი ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს. სხვა მხრივაც აუსრულდა ქ-ნ ადანს, ამ ბისმარკის დიდის მტრის ნატვრა: გერმანიის ახალგაზდა იმპერატორმა სრულიად ბოლო მოუღო ბისმარკს.

ამ გვარად, ცოტ-ცოტა ქალებიც საქვეყნო მოღვაწეობის ასპარეზზედ გამოდიან. ლიტერატურასა, მხატვრობასა და მეცნიერებაში უკვე დიდად ნიჭიერნი წარმომადგენელნი-ქალნი მოიპოვებიან და ხელობით, ხელ-საქმით ხომ დიდი ხანია მეტოქეობას უწევენ ქალები კაცებს.

ამასთან მხედველობაში ისიც უნდა იქონიოთ, რომ ფრანგი ქალი დიდად უნარიანია და ჭკვიანი, მართლაც შეუძლიან საკუთარის გამჭრიახობით გაისამძლისოს და კაკაცის მოვარგლობას არ ამოაფაროს თავი, უნარი აქვთ საერთოდ მოქმედებისა, ერთმანეთის მხარში ამოდგომისა.

თუ მუშანი ევროპაში მეოთხე წოდებას შეადგენენ, ქალები მეხუთე წოდებაზედ უნდა ჩაითვალონ და იმათთან ბრძოლაც ისე ადვილი არ არის. ქალებს ბევრი კარგი ღირსება და უპირატესობა აქვთ, აი თუნდა ისა, რომ მათ შორის ისეთის სიყვარულს ვერა ჰნახავთ სპირტეულ სასმელისას, და კაცობრიობის არა მშვენიერს ნაწილს ხომ სწორედ ეგა ჰღუპავს და ეს ანელებს.

## ნაგოლარა

ნახტომი შეჰშლია!

ერთი ამხანაგი და მეგობარი მყავდა, სწავლაში ბეჯითი, არა უნიჭო, უსაზღვრო ლიბერალი, ლასალის ფერ-მოჭრილი ყმა და თაყვანის-მცემელი; პოლიტიკ-ეკონომიურს წიგნს რომ ხელთ იგდებდა, სულ გაიზეპირებდა; მთელი დღე სულ შრომა, ურთიერთობა, საერთო მიწის მფლობელობა, ასსოციაცია და კოოპერაცია პირს ეკერა და ღამეც-კი ამასა ჰბოდავდა.

ამ ჩვენთვის ახალის სიტყვებით ისე იყო გატაცებული, რომ სწავლას თავი ანება, სოფლად გავარდა საქადაგებლად; უნდოდა სწრაფად აღეძრა თვით-მოქმედებითი ძალა ხალხისა, შეეკრა საერთო კავშირი, გაემართა სხვა-და-სხვა მწარმოებელთა ამხანაგობა, თითოეულ უბრალო მუშად ჩამდგარიყო და ამ რიგად

თავისი თავიც და სხვაც ბევრი გაუბედურებინა. თუ აქ არა, რადგანაც მაშინ მთავრობა ასეთს საქმეს ეჭვის თვალით უყურებდა, სხვაგან სადმე, რომელსამე პოლინეზიის კუნძულზედ მაინც აპირებდა გაპარვას და გარობერტ-ოვენობას.

დრო შეიცვალა. ეხლა თვით მთავრობა სცდილობს წარმოების გაძლიერებას და ყველა ამისთანა საქმეს, კერძო კაცი ითავებს, თუ ამხანაგობა, ხელს უწყობს. სწორედ ეხლა აქვს დრო ჩემს მეგობარს თავის აზრების განსახორციელებლად, მაგრამ ვაი, რომ ნახტომი შეჰშლია!

ამას წინად ერთს სოფელში მიბრძანებულა მთავრობის წარმომადგენელი, სოფლის ხალხი შეუკრებია და წინადადება მიუცია, საერთო, სასოფლო ზვარი გააშენეთ, ყველამ იშრომეთ და მოსავალიც ან ყველამ გაინაწილეთ, ან საერთო საჭიროებისათვის მოიხმარეთ, როგორც თქვენი სურვილი იქმნებაო; სახელმწიფო მიწა მოგეცემათ, შემცილებელი არავინ გეყოლებათ და თუ ვინმემ ხელი შეგიშალათ, ჩვენ მოგვმართეთო. ხალხს ძალიან მოსწონებია ეს რჩევა, ყველა სიხარულით დასთანხმებია და ერთად-ერთი მოწინააღმდეგე აღმოჩენილა... ის ჩემი განათლებული მეგობარი, ლასსალის შეგირდი!

ჩვენ მაგ საქმეს ვერ ვითავებთ, ვერ გავუძღვებით და სამაგისო შეძლებაც არა გვაქვს, თუ მთავრობა არ დაგვეხმარაო.

გზა-კვალის არევა სწორედ ამასა ჰქვიან. კაცი ჯერ ჩუმად, მთავრობის წინააღმდეგ, აპირობდა საკოოპერაციო ამხანაგობათა გამართვას, ეხლა-კი ნება ეძლევა და ქრთამსაცა თხოულობს.

ჩვენში მაგისთანა საქმის დაწყება, ვგონებ, მეტად ადრეა, დეპო-ბანკიც დააარსეთ, მაგრამ ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდაო.

რა მალე დავიწყებია ჩემს მეგობარს ლასსალისა და შულცე-დელიჩის კამათობა, დღე და ღამ რომ თვალებს იწყალებდა და გაზეპირებით ენას ითხელებდა! ვეღარც-კი გაურჩევია, რომ მწარმოებელთა საქმეს და ბანკ-დეპოს „შუა უდევს დიდი ზღვარი“. მოაგონებ თავისსავე სიტყვა-მეტყველებას. მწარმოებელთა ამხანაგობა მოასწავებს გაჩენას, გაშენებას, მოყვანას, ბანკი და დეპო-კი — დაზოგვას, მოხმარებას, შეჭმას, გაცვეთას.

პირველი დამყარებულია შრომაზედ, რომლითაც დაფასდება ყოველი ნივთიერება; მეორე-კი აღებ-მიცემობაა, რომელსაც, ჩვენის ვაჭრების სიტყვით რომ ვსთქვათ, წაგებ-მოგება და-მმად მიაჩნია.

შრომას რომ მიწას მიაბარებ, თანხად იქცევა, რომელიც სამუდამოდ ხელუხლებლად რჩება. ვაზი დარგე, თუ ხეხილი, — არა რეგვნულად, რასაკვირველია, — წრეულს იქნება, თუ მერმისს ნაყოფს, თანხის სარგებელს ამოიღებს, რომელიც შეგიძლიან მოიხმარო, თვით თანხას-კი ვერ შეეხები, ძალიანაც რომ გინდოდეს, თუ არ გაჰყიდე, ან არ დააგირავე. დეპოებისა და ბანკის თანხა-კი შეგიძლიან სულ ერთიანად ხელთ იგდო და „ტილიპუჭურას“ მიაბარო, ამხანაგობა ცალ ფეხზედ დასვა.

რასაც შრომით მოიყვან — სულ შენია, იაფადაც რომ გაჰყიდო, არას იზარალებ, შრომის ფასს აიღებ და ლუკმა-პური ხომ მაინც უშენათო გექნება. დეპოს საქონელი-კი სხვის შრომაა, სხვას ეკუთვნის, შენ მხოლოდ შუამავალი ხარ, დალალი, გამსაღებელი; მოგება წინადვე სხვას მიაქვს და შენს ამხანაგობას მხოლოდ ის სარგებლობა ექმნება, რომ დეპო, თუ ისიც რიგიანად მოწყობილია, ცოტა იაფად მოუტანს სხვის საქონელს შესაჭმელად და გასაცვეთად.

თუ კარგად იშრომებ და მოიყვან რასმე, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, და თუ შენი მოთხოვნილება შენის შრომის ფასს აღემატება და სხვას ბევრს საქონელს გაუსაღებ, შენი კეთილდღეობა დიდ ხანს ვერ გასტანს, სულით-ხორცამდე დაილუპები.

ნუ თუ ჩემს მეგობარს ეს ანა-ბანაც დავიწყებია? რაც შეეხება საერთო მიწის მფლობელობას და საამხანაგო ზვრის გაშენებას, აქ ხომ წინააღმდეგი სრულიად არა ითქმის-რა. შორს ლაპარაკი რომ არ გავაბა და ჩემს მეგობარს არ მოვაგონო ის ათას-ფურცლიანი ტომები, რომლებიც წინად სახარებად მიაჩნდა, საკმარისია ერთი ყველასათვის ადვილად მისახვედრი მოსაზრება მოვიყვანო.

ჩვენ ყველანი ცალ-ცალკე ვშრომობთ. დღეს მე რამე უბედურება მეწვია, სამუშაოს მოვცდი, შრომის ძალ-ღონე წამერთვა, — ხომ დაილუპა ჩემი ოჯახი. ხვალ შენ უარესი დღე დაგადგა, ზეგ ჩვენს მეზობელს, სათითაოდ თითქმის ყველანი გავნადგურდით. საამხანაგო ხვნა-თესვასა და ზვრის გაშენებას სულ სხვა შედეგი აქვს. თუ დღეს მე ვერ ვიშრომე, ამხანაგობა გამიტანს, ასს კაცს ერთით ბევრი არა დააკლდება-რა; ხვალ მეც ვიშრომებ და ამხანაგობასთან ერთად ჩემს ულონო მეზობელს შევეწევი. ზეგ შენ დაგადგება ეს დღე, მაზეგ სხვას და ერთმანეთში სასაყვედურო არა გვექნება-რა.

ისიც საყურადღებოა, რომ მთელი სოფელი მხოლოდ ზვრის ანაბრად ხომ არ იქმნება, ყველა თავისს საქმეს ისე აწარმოებს, როგორც ქამდის, და თითო კაცმა წლის განმავლობაში სამიოდე დღე საამხანაგო ზვარს რომ მოახმაროს, ისიც კმარა. ზოგს გლეხს ვენახი სულაც არა აქვს და, როცა მინდვრის მოსავალს შრომა არ ეჭირვება, უსაქმოდ რჩება, დრო ტყუილად ეკარგება. უმჯობესი არ იქმნება, ეს დრო ზვარს შესწიროს? ამ რიგად ზვარი ისე გაშენდება, რომ კერძოდ ყველა ამხანაგს არა დააკლდება-რა და შემდეგში-კი იმისს ოჯახს მეტი ლუკმა გაუჩნდება.

ნუ თუ ჩემი მეგობარი ამ საქმის მოწინააღმდეგეა?!

ფ.

## დეპეშა

10 აპრილი

**ბერლინი.** გარდაიცვალა დიდი ჰერცოგინია-დედა, ალექსანდრინა, იმპერატორი, ვილჰელმ I-ს და.

**შტუტგარდტი.** გუშინ გარდაიცვალა აქ გამომწესებული რუსეთის ელჩი ბარონი ფრიდერიქსი.

**პარიჟი.** ზღვათა მინისტრი საჭიროდ ღონისძიებასა ხმარობს, რომ გაამაგროს კოტონა და ვიდიხთან მყოფი ადგილები, ხოლო ჯარი თოფს არ გაისვრის.

დღეს დილით დაპატიმრებული 45 ანარხისტი სამართალში იქმნებიან მიცემულნი იმ კანონის ძალით, რომელიც ბოროტ-გამზრახველთა შეერთებულს მოქმედებასა ჰკრძალავს; პროვინციაშიაც 40-მდე კაცია დაპატიმრებული.

რკინის გზის მომუშავეთა კრებამ 148 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5-სა უარ-ჰყო ის წინადადება, რომ 1 მაისს მანიფესტაცია მოვახდინოთო.

11 აპრილი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა მემკვიდრე ცესარევიჩითურთ ინება და გუშინ ჩამობრძანდა გატჩინოდამ პეტერბურგს.

**რომი.** მეფემ შეიწყნარა გუშინ საღამოს ფინანსთა მინისტრის სამსახურიდამ გადადგომის ქაღალდი და ფინანსთა სამინისტროს გამგეობა დროებით მიანდო ხაზინის მინისტრს. ყველა სხვა მინისტრებს რჩებათ თავთავიანთი პორტფელები.

„წითელ ჯვრის“ საზოგადოებათა კრებამ დიადგინა, ვსთხოვოთ იმ სახელმწიფოთ, რომელთაც ხელი აქვთ მოწერილი ჟენევის კონფერენციისათვის, გაავრცელონ მისი სასიკეთო მოქმედება საზღვაოსნო ომის დროსაცაო. რუსეთის დელეგატმა, პროფესორმა მარტენსმა სთქვა, რომ საჭიროა მფარველობა აღმოუჩინოს ხოლმე მთავრობამ დარჩობისაგან გადარჩენის საზოგადოებათა ხომალდებსაცაო.

**პარიჟი.** პარიჟში ანარქისტებ შორის კიდევ ექვსი იქმნა შეპყრობილი, ხოლო არჟანტალში — სამი; დღეს დილით კიდევ მოელიან, რომ სხვანიც იქმნებიან შეპყრობილნი.

**პეტერბურგი.** აქაურ ბირჟაზე გაიყიდა საადგილ-მამულო ბანკების ფურცელნი: ტფილისისა 6%-იანი — 102 მან. 5%-იანი 99 მან. იძლეოდნენ: ქუთაისის 6%-იანში 101½ მან. ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებში იძლეოდნენ 99½ მან.

პეტერბურგის ბირჟა, 8 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,86 | 7,90 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 156¾ | 157¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 237 |
| — მეორისა | — ,, | — ,, | 219½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | 197 | 197¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 101½ | — ,, | — ,, |
| 5% | 99 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 101½ | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99½ | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—39)

## ქ. ოზურგეთში

10 მარტიდგან ამა მიმდინარე წლისა მე-81, 82, 83 და 85 მუხლის თანახმად სავაჭრო წესდებისა დაარსებულია ურთიერთს ნდობაზედ (на Вѣрѣ) ამხანაგობა შემდეგის ფირმით: **ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა წარმოება მ. ო. ურუშაძისა და ამხ.**, რომლის უმთავრესი აზრი ის არის, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, გაადვილოს და გააიაფოს ეტლით მოგზაურობა გურიაში და, თუ საჭირო იქნება, ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამ ჟამად ეტლები ამა ამხანაგობისა განსაკუთრებით ოზურგეთსა და რკინის გზის სადგურს ნატანებს შუა დადის საფოსტო და სახალხო მატარებლის დროს. ამხანაგობას ეხლავე **192 წევრი** ჰყავს. თითოეული წევრი ერთ-დროებითად იხდის **ოც-და-ათ მანეთს** და ამ ნაირად ძირეული თანხა ამხანაგობისა **5760 მანეთია**.

საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: პირველად **ათი** მანეთი და დანარჩენი **ოცის** ექვსის თვის განმავლობაში. ვისაც სურს ამხანაგობის წევრად ჩაწერა, მიჰმართოს ამ ადრესით: „Въ Озургетское товарищество вольныхъ экипажей М. О. Урушадзе и К°. (6—5)

## ი. ალოიზი და ამხ.

აბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგომს ტფილისში.**

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეურნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად. 16—14)

ი. ალოიზი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით | 10 მ. — კ. | 6 | თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50,, | 5 | ,, | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75,, | 4 | ,, | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, —,, | 3 | ,, | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25,, | 2 | ,, | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50,, | 1 | ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მიიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 11-го Апрѣля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.